პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის ... აგვისტო ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

დიდი ქართველი მეფის - დავით აღმაშენებლის ძეგლის (ქანდაკების) განთავსების ადგილის განსაზღვრის შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დიდი ქართველი მეფის - დავით აღმაშენებლის ძეგლის (ქანდაკების) განთავსების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძისა და დავით აღმაშენელის ქუჩების გადაკვეთაში არსებული წრიული.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო მოსამზადებელი ორგანიზაციული, სამართლებრივი და საფინანსო ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის ძეგლის პროექტის (ესკიზის) შერჩევა (შესყიდვა) და მასალების მომზადება საქართველოს შესაბამის სამთავრობო დაწესებულებასთან მისი შეთანხმების მიზნით;

ბ) ძეგლის (ქანდაკების) განთავსებამდე წინამდებარე განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ადგილის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით შესაბამისი საინფორმაციო დაფის (ან/და მემორიალის) მოწყობა.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/13830
23/07/2018

13830-25-2-201807231632

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

ქალაქ ბათუმში დავით აღმაშენებლის ძეგლის განთავსების თაობაზე მოძრაობა ეროვნულების თავმჯდომარის - ალექსანდრე ბრეგაძის მომართვიდან გამომდინარე თქვენი 2018 წლის 31 მაისის #367-12 (#17237/25) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის ძეგლი განთავსდეს ტბელ აბუსერიძისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთაში არსებულ წრიულში. ამასთან, ძეგლის აღმართვამდე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს შერჩეულ ტერიტორიაზე მისი მოწყობის თაობაზე შესაბამისი საინფორმაციო დაფის განთავსებას.

პატივისცემით,

თეიზიზ პეტრიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ

6010, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010, №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26, fax: + 995 (422) 27 26 01

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტ...
საკრებულო
შემოსული № 11/476
„24" ივლისი 2018 წ.